პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 42-ე წელი | № 83 (12291) | კვირა, 8 აპრილი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

არ შევანელოთ ღონისძიებანი ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის საკითხის გადაჭრის საქმეში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა გაუგზავნა იაპონიის პრემიერ-მინისტრს ხ. იკედას სიბალუხო წერილი, რომელშიც განმარტა საბჭოთა მთავრობის პოზიცია ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხში.

ზოგიერთ კვეყანაში, წერს ნ. ს. ხრუშჩოვი, ჯერჯერობით ვერ ამჯობინეს სსრ კავშირის პოზიციას, ზოგი ვინმე კი განზრახ ცდილობს დაამახინჯოს იგი და ნაოელი ფაქტების საწინააღმდეგოდ წარმოსახოს საბჭოთა კავშირი გამალებული ატომური შეიარაღების წამომწყებადაც კი. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ იმ ქვეყნის ხალხს, რომელმაც გადაიტანა ამერიკის ავიაციის მიერ თავისი ქალაქების უგუნური ატომური დაბომბვის საშინელება, ხავსებით ესმის, თუ ვის მიუძღვის ბრალი თერმოატომური ომის საფრთხის წარმოშობისა და გაძლიერებაში.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — აი, ვინ მოახვია მსოფლიოს თავს შეჯიბრება ატომური შეიარაღების დარგში. თუ მიუკერძებლად შეეხედავთ ფაქტებს, ცხადი გახდება, რომ სწორედ ამერიკის შეერთებული შტატები და მათი ნატოელი მოკავშირენი ქმნიან დაბრკოლებებს ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე.

ნ. ს. ხრუშჩოვი მოგონებს, რომ საბჭოთა მთავრობა გამუდმებით და უცვლელად მოითხოვს არა მარტო ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტას, არამედ მის სრულ აკრძალვას, მთელი მარაგის მოსპობას. ამ საკითხში იაპონელი ხალხის, ისევე როგორც ყველა სხვა მშვიდობისმოყვარე ხალხის, სურვილები ხავსებით ემთხვევა ჩვენს საკუთარ მისწრაფებებს.

საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა და ახმარს, რათა მიღწეულ იქნეს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის შესახებ. მაგრამ ერთი მხარის სურვილები და მზადყოფნა საკმარისი როდია. როგორც იტყვიან, ერთი ხელით ტაშს ვერ დაუკრავ. ჩვენს პარტნიორებს კეთილი ნება რომ გამოეჩინათ, უკვე დიდი ხანია ხელმოწერილი იქნებოდა შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. ახლა ხავსებით ცხადი გახდა, რომ ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვისადმი კონტროლის განსახორციელებლად ხავსებით საკმარისია აღმოჩენის ეროვნული საშუალებანი. უკვე ახლა ატომური იარაღის ყოველ ადეთქებას კონტროლს უწევს მრავალი ხახელმწიფო და არავითარი საეციალური საერთაშორისო ინსპექცია ამ საქმეში საჭირო არ არის. ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლები კვლავ გაძიახიან, დავიწყოთ საერთაშორისო კონტროლი ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისადმი.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ულტიმატუმი ფორმით განაცხადა, რომ თუ არ დაიდება შეთანხმება, რომელიც მათ უფლებას მიანიჭებს გამოცდისადმი კონტროლის სახით იქონიონ ჯაშუშური ქსელი სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე ახალგაზრდა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ განახორციელონ აპრილში დაგეგმილი აფეთქებანი ატმოსფეროში.

ატომური იარაღის გამოცდა, რომელსაც საბჭოთა კავშირი ახორციელებდა, თავდაპირველადვე იძულებითი საპასუხო ღონისძიება იყო, რომელიც მას უნდა მოეხდინა, რათა უზრუნველეყო ხაკუთარი უშიშრება და სხვა ხალხთა უშიშრება. დასავლეთის ახალგაზრდა სახელმწიფოების მიერ წამოწყებული გამალებული ატომური შეიარაღების პირობებში. ცნობილია, რომ დასავლეთის ახალგაზრდა სახელმწიფოებმა გაცილებით მეტი აფეთქება განახორციელეს, ვიდრე საბჭოთა კავშირმა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მიერ გამოცდის განახლება, ბუნებრივია, აიძულებს საბჭოთა კავშირს განახორციელოს შესაბამისი საპასუხო ღონისძიებანი, რაც საჭირო იქნება მისი უშიშროების უზრუნველყოფად და მშვიდობის შესანარჩუნებლად.

ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ 18 ახალგაზრდა ხელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობის დასაწყისი, სამწუხაროდ, არ შეიძლება დამაიმედებლად მივიჩნიოთ. კვლავ ირკვევა, რომ დასავლეთის ახალგაზრდა ხელმწიფოებს არ სურთ უარყოფ თავიანთი გამალებული შეიარაღების პოლიტიკა. იქნება, შეიძლებოდა, რომ მათი პოზიცია მიზნად ისახავს აშკარადაც არ დაუშვან შეთანხმება არც ხაყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ, არც ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის შესახებ. სწორედ ამიტომ მათ ხელს არ აძლევენ სსრ კავშირის წინადადებანი.

ნ. ს. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ხაყოველთაო და სრული განიარაღება ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტისა და მისი აკრძალვის ხაკითხის ყველაზე რადიკალური გადაჭრაა. მაგრამ ჩვენ აგრეთვე მიგვაჩნია, რომ ამ ხაკითხზე შეთანხმება შეიძლება უკვე ახლა. შემდგომ გაუჭიანურებლად, არ უნდა ველოდოთ, როცა, ბოლოს და ბოლოს, მიღწეულ იქნება შეთანხმება ხაყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. ამას გზა გაუხსნეს საბჭოთა მთავრობის 1961 წლის 28 ნოემბრის წინადადებებმა.

საბჭოთა მთავრობის მეთაური აღუთქვამს იაპონიის პრემიერ-მინისტრს, რომ, როგორც კი ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი ნამდვილად მოისურვებენ შეთანხმებას ატომური იარაღის გამოცდის შეწყვეტის ხაკითხზე, ისინი საბჭოთა კავშირის მხრივ შეხვდებიან სრულ მხარდაჭერასა და მზადყოფნას—საშუალოდ ბოლო მოეღოს ასეთ გამოცდას.

მაგრამ ყოველმხრივ ჩანს, რომ მათ არ სურთ ასეთი შეთანხმება. პირდაპირ თუ ვილაპარაკეთ, ამერიკის შეერთებული შტატები და მათი მოკავშირენი მზაკვრობენ. პოლიტიკაში გამოუცდელი ადამიანების ამედი აქვთ, ისინი სრულიადაც არ აპირებენ გადახინჯონ თავიანთი გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოცდის განახლების შესახებ და ყოველ ღონეს ხმარობენ მხოლოდ იმისათვის, რომ შეიენელონ ამ გადაწყვეტილებით გამოწვეული ხალხთა აღშფოთება, განახორციელონ ხაზოგადოებრივი აზრის შესახებ ფსიქოლოგიური დამუშავება.

მაგრამ ჩვენ არ უნდა შეეგანელოთ ღონისძიებანი. წარმატება ატომური იარაღის გამოცდის აკრძალვის ხაკითხის გადაჭრის საქმეში შეიძლება მიღწეულ იქნეს. ეს მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად აქტიურ ზემოქმედებას მოახდენს ყველა ქვეყანა დასავლეთის ახალგაზრდა სახელმწიფოთა მმართველ წრეებზე. თუ რა მტკიცედ მოითხოვენ გამალებული შეიარაღების შეწყვეტას.

* * *

იაპონიის პრემიერ-მინისტრი ხ. იკედა თავის წერილში ნ. ს. ხრუშჩოვისადმი აღნიშნავს, რომ იაპონიის მთავრობამ პროტესტი გამოუცხადა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას ატმოსფეროში ატომური იარაღის გამოცდის განახლების შესახებ მისი გადაწყვეტილების წინააღმდეგ და სთხოვა არ განახორციელოს ეს გამოცდა.

წერილში თუმცა აღიარებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების აღნიშნული გადაწყვეტილება გამალებული ატომური შეიარაღების ხაფრთხის წინაშე აყენებს მსოფლიოს. მაგრამ ამავე დროს არის ცდა — გაამართლოს ეს გადაწყვეტილება, ხ. იკედა მიმართავს საბჭოთა მთავრობას და მოუწოდებს განახორციელოს ღონისძიებანი, რათა რაც შეიძლება მალე დაიდოს ასეთი შეთანხმება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საბჭოთა პრესა მძლავრი იარაღია სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში

7 აპრილს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. პ. მგალობლიშვილის შეხვედრა რესპუბლიკის გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაკებთან.

ვ. პ. მგალობლიშვილმა ჟურნალისტებს მოუთხრო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებების შესახებ, რომელმაც განიხილა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ხუფარული ხაკითხები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში, ამბანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებაში, ხაზგასმით აღნიშნა ამხ. ვ. პ. მგალობლიშვილმა, ღრმად და ყოველმხრივ გამოაშკარავებულია ნაკლოვანებები სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა სახალხო მეურნეობის ამ საარსებო მნიშვნელობის დარგის ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნის ღონისძიებანი.

ვ. პ. მგალობლიშვილმა დაწვრილებით უამბო შეხვედრის მონაწილეებს, თუ როგორია რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნის პირველი შედეგები, როგორ მუშაობენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოები. საოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის ახალი სტრუქტურა ხელს უწყობს ორგანიზაციული გაკეთილშობილებისა ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაზე, სოფლის მეურნეობის გადაუდებელ საკითხთა გადაჭრის დაჩქარებას.

თავის გამოსვლაში ამხ. ვ. პ. მგალობლიშვილმა ცენტრალურ გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის რედაქციებს, მრავალრიცხოვან მუშა და სოფლის კორესპონდენტს ამოცანად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებისა და მასალების პროპაგანდის დარგში, რომ დახმარება გაუწიონ პარტიულ ორგანიზაციებს სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების იმ ღონისძიებათა წარმატებით შესრულებაში, რომლებიც პარტიამ დასახა. განსაკუთრებით დიდი როლი ამ პასუხსაგებ საქმეში მოწოდებულია შეასრულოს სარაიონთაშორისო გაზეთებმა, რომლებიც აწყობილ იქმნება რესპუბლიკაში.

გაზეთების, ჟურნალების, რადიოსა და ტელევიზიის ერთ-ერთი უადრესად საბრძოლო და აქტუალური ამოცანა, თქვა ამხ. ვ. პ. მგალობლიშვილმა, უნდა იყოს ბრძოლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მძლავრი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქციის სიუხვის შექმნისათვის. (საკდესი).

მეგობრობის ხელშეკრულება

საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მე-14 წლისთავის აღსანიშნავად საბჭოთა კავშირისა და ფინეთის ხელმძღვანელმა მოღვაწეებმა მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს ერთმანეთს.

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ურჰო კეკონენისათვის ვაგზავნილ დეპეშაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ხელშეკრულება მტკიცეა, სარგებლ საფუძველი იყო ორივე ქვეყნის ურთიერთობის თანმიმდევრული გაუმჯობესებისათვის. ხელშეკრულება იყო და არის ევროპის ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვის რაიონის მშვიდობისა და მყუდროების სტაბილური ფაქტორი.

დეპეშაში ფინეთის პრემიერ-მინისტრ მარტი მიეტუნენისადმი, ნ. ს. ხრუშჩოვმა რწმენა გამოთქვა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობა კვლავაც ნაყოფიერად განვითარდება ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საერთაშორისო მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ფინეთის პრეზიდენტს ურჰო კეკონენს.

ურჰო კეკონენის დეპეშაში ნ. ს. ხრუშჩოვისადმი აღნიშნულია, რომ ხელშეკრულება ყოველგვარ ვითარებაში იყო ფინეთისა და სსრ კავშირის ნდობისა და კეთილ მეზობლობის საფუძველი, რომელზეც კვლავაც შეიძლება საიმედოდ განვითარდეს ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობა ორივე მხარის საკეთილდღეოდ და სასარგებლოდ.

ურჰო კეკონენმა მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა ლ. ი. ბრეჟნევს, მარტი მიეტუნენმა დეპეშა გამოუგზავნა ნ. ს. ხრუშჩოვს. (საკდესი).



სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესიაზე

მოსკოვი, 6 აპრილი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სესიამ, რომელიც ორ დღეს გრძელდებოდა. მეცნიერებმა განიხილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და სოფლის მეურნეობის მეცნიერების ამოცანები.

მეცნიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისადმი მიძღვნილი სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსებმა ი. ფ. ვასილენკომ, ა. ი. ნიკოლაევმა, ი. ა. ბეჭკომ, ლ. ა. ულანოვამ, მ. ა. ლისაგინკომ, ტ. დ. ლისენკომ, ტ. ს. მალცევამ, ბ. პ. სოკოლოვმა, ლ. პ. გორბატოვმა, წევრ-კორესპონდენტებმა ა. ვ. ალბენსკიმ, მ. ი. ტიხომიროვამ და სხვა მეცნიერებმა.

სესიამ მიიღო ვრცელი დადგენილება, რომელიც მიზნად ისახავს მეცნიერების კავშირის განმტკიცებას პრაქტიკასთან, მეცნიერთა ძალების დარაზმვას კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სიუხვის შეესაქმნელად ჩვენს ქვეყანაში.

მუშაობის დასასრულს სესიამ განიხილა აკადემიკოსების ი. დ. ლობეკინისა და ს. ფ. დემიდოვის მეცნიერული საქმიანობა და ცნო, რომ იგი არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომელთაც საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის მაღალ წოდებას უყენებენ.

ამბროლაური. (საკ. კორ.). საბჭოს პირველი სხდომა

ამბროლაურის კოლმეურნეობების საწარმოო სამმართველოს საბჭოს პირველი სხდომა.

საბჭოს სხდომა გახსნა საწარმოო სამმართველოს უფროსმა ბ. მინდელმა. პუტადღეებით მოისმინეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგია ბ. ჯინჭველაშვილის მოხსენება — „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის შედეგები და სოფლის მეურნეობის მეცნიერების ამოცანები".

მოხსენების გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს პარტიის ამბროლაურის [illegible] კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ო. გოცირიძემ, ცაგერის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ კ. ღურჭუმელაშვილმა, ონის რაიონის სოფელ სორის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ნ. მკურვალაშვილმა და სხვ.

საბჭოს სხდომაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო კონტროლის კომისიის თავმჯდომარემ ე. ჯაფარიძემ.

სურათებზე: ქვემოთ — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ დიმის სვერდლოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრები, ცოლქმარი ალექსანდრე და მარგარიტა გურგენიძეები, რომლებიც ახლა მათთვის მოსაყელელად მიჩენილ ვენახში ვაზის ახვევაზე მუშაობენ და შრომის ნაყოფთან ერთად ბედნიერ ცხოვრებასაც ეძიებენ; ზემოთ — ქარელელი კოლმეურნე მ. კურტანიძე, რომელიც კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში სიმწიფის ატესტატი მიიღო. მოწინავე მეცხოველემ ვალდებულება იკისრა წელს თვითეულ ძროხაზე გეგმით გათვალისწინებული 1.800 ლიტრის ნაცვლად მოწველოს 2.000 ლიტრი რძე და მთლიანად შეინარჩუნოს ნამატი.

ფოტო პ. ლუცენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა) და შ. კუკულავისა.

საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი

6 აპრილს გაიმართა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეორე პლენუმი. მოხსენებით „რესპუბლიკის პროფკავშირთა ამოცანები სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის დადგენილებასთან დაკავშირებით „კომუნისტი" მშენებლობის თანამედროვე ეტაპი და პარტიის ამოცანები სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების დარგში" გამოვიდა საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **მ. მ. ლელაშვილი.**

პლენუმზე გამოვიდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშათა და მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ჯაში**, ძველი სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ვ. ქავთარაძე**, ზედა ფუნის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ნ. პაკელიანი**, ნოსირის დაფნის საბჭოთა მეურნეობის მუშა **ი. ალანია**, საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი **ვ. მეტრეველი**, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თბილისის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსი **გ. გორდეზიანი**, დიღმის მანქანათმაგებელი, საგანგურის მთავარი ინჟინერი **ა. ჩაჩანიძე**, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. წიქორიძე**, ქარხანა „საქმაოლმანქანის", პროფკავშირთა საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ბეგალავა**, ოკამის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი **ა. ქაჯაია**, თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის პროფკავშირის მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე **ბ. ლალიძე**.

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმმა მიიღო დადგენილება, რომელშიც რესპუბლიკის ყველა მუშა-სა და მოსამსახურის სახელით სიტყვა-ბძლევს სკკპ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს პროფკავშირები მთელ თავიანთ ძალღონეს მოახმარენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებას, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების პროგრამის განხორციელებას.

პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ **ს. ა. კვაჭაძემ.**

ყურადღების ცენტრში

ტოკიო, 7 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი იაპონიის პრემიერ-მინისტრ იკედასადმი იაპონიის პრესის ყურადღების ცენტრშია. ყველა ცენტრალურმა გაზეთმა პირველ გვერდზე გამოაქვეყნა წერილის დაწვრილებითი მინაარსი. ნ. ს. ხრუშჩოვის წერილის შინაარსს გაზეთები ბეჭდავენ დიდი სათაურებით: „შეერთებული შტატები დაბრკოლებებს ქმნიან ატომური გამოცდის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე.

საპირველმაისო შრომითს ვასტზე

ბიათურა. (საკ. კორ.). მაღაროელებმა, რომლებიც ნიკოპოლელ თანამოსაქმეებს ეჯიბრებიან, მარგანეცის სასაქონლო პროდუქციის დამზადების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება შეასრულეს.

წარმატებით მუშაობენ რვანისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივები. ბოლო ხანებში მუშაობა გააუმჯობესა ვ. ი. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა.

ბიათურელებმა ფართოდ გაიაზიეს საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება, რათა ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს — პირველ მაისს.

ჟღათაისი. (საკ. კორ.). რკინიგზის ჭუთაისის მეორე სადგურის კოლექტივმა დატვირთვის პირველი კვარტალის გეგმა 126,3 პროცენტით შეასრულა, ხოლო გადმტვირთვისა — 104,5 პროცენტით. ვანგლილ პერიოდში გეგმის ზევით დატვირთულია 12.303 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთი, რითაც სადგურის კოლექტივმა სამ თვეში დატვირთვის ოთხი თვის დავალება გაანაღდა. შემშვიდროებული დატვირთვის პროგრესული მეთოდის გამოყენებით თვითეული ვაგონის დატვირთვა 1.100 კილოგრამით გაიზარდა, რის შედეგადაც გზას სამოცი ვაგონი გუთავისუფლდა.

სადგურის კოლექტივი საპირველმაისო შრომითს ვასტზე დადგა და აპრილში დიდი გადაკრბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების I კვარტალის გეგმის შესრულება 1962 წლის 1 აპრილისათვის

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიული საწარმოო სამმართველოები.	ხორცი (ცენტნ.)			რძე (ცენტნ.)			კვერცხი (ათასი ცალი)		
	გეგმა	შესრ.	შესრ. %	გეგმა	შესრ.	შესრ. %	გეგმა	შესრ.	შესრ. %
1. თელავის	5.050	4.359	86,3	10.525	10.724	101,9	749	817	109,1
2. ბურჯაანის	2.959	2.990	101,0	7.968	9.463	118,8	920	1.149	124,9
3. სიღნაღის	9.360	10.286	109,9	21.935	31.120	141,9	3.133	3.238	103,4
4. ბოლნისის	4.555	4.130	90,7	15.087	12.629	83,7	1.405	1.372	97,7
5. თეთრი წყაროს	4.295	3.808	88,7	12.706	11.467	90,2	447	498	111,4
6. დუშეთის	1.797	1.787	99,4	8.136	7.306	89,8	387	498	128,7
7. ბორის	5.345	5.859	109,6	16.976	14.055	82,8	1.469	1.094	74,5
8. ახალციხის	9.885	9.584	97,0	39.804	33.034	83,0	994	1.377	138,5
9. ზესტაფონის	3.010	4.463	148,3	7.356	9.508	129,3	643	1.203	187,1
10. სამტრედიის	2.120	3.747	176,7	5.170	6.096	117,9	925	1.416	153,1
11. ამბროლაურის	2.005	2.635	131,4	7.110	4.237	59,6	288	591	205,2
12. წყალტუბოს	1.975	3.471	175,7	6.115	9.771	159,8	512	943	184,2
13. მახარაძის	1.685	2.655	157,6	5.166	7.819	151,4	529	1.104	208,7
14. ცხაკაიას	3.345	4.263	127,4	7.082	7.869	111,1	805	1.201	149,2
15. ზუგდიდის	3.055	3.408	111,6	7.769	6.570	84,6	591	783	132,5
16. მერძევეობა-მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სპეციალიზებული ტრესტი (ტერიტორიული სამმართველოს უფლებით)	10.099	11.520	114,1	36.231	34.548	95,4	2.617	3.288	125,6
17. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	3.425	3.942	115,1	9.754	6.207	63,6	413	487	117,9
აფხაზეთის ასსრ	2.085	3.740	179,4	11.438	5.727	50,1	4.186	2.655	63,4
18. აქედან სოხუმის	1.162	2.029	174,6	7.359	2.009	27,3	851	426	50,1
19. „ გუდაუთის	923	1.711	185,4	4.079	3.718	91,1	3.335	2.229	66,8
აჭარის ასსრ	1.115	1.237	110,9	6.672	5.935	89,0	607	766	126,2
20. აქედან ქობულეთის	282	534	189,7	4.208	3.607	85,7	381	311	81,6
21. „ ხუცუბნის	823	683	83,0	2.464	2.328	94,5	226	455	201,3
სულ საქართველოს სსრ რესპუბლიკაში	80.000	89.034	111,3	243.000	234.085	96,3	21.620	24.480	113,2

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

ს ა კ დ ე ს ი ს ც ნ ო ბ ა

ატმოსფეროს ზედა ფენების და კოსმოსური სივრცის კვლევის პროგრამის შესაბამისად 1962 წლის 6 აპრილს საბჭოთა კავშირში ორბიტაზე გაეგზავნილ იქნა დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოსი-2".

თანამგზავრზე დადგმულია სამეცნიერო აპარატურა, რათა განგრძობილ იქნას კოსმოსური სივრცის კვლევა ამ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საკდესმა გამოაქვეყნა, ამა წლის 16 მარტს ცნობაში თანამგზავრ „კოსმოსი-1"-ის გაშვების შესახებ.

გარდა სამეცნიერო აპარატურისა, თანამგზავრზე დადგმულია მრავალარხიანი რადიოტელემეტრიული სისტემა, ტრაექტორიის გასაზომი რადიოტექნიკური მოწყობილობანი და მოკლე ტალღის გადამცემი, როელიც მუშაობს 20.005 მეგაჰერც და 90.0225 მეგაჰერც სიხშირეზე.

წინასწარი მონაცემებით, თანამგზავრის ფრენა მიმდინარეობს ორბიტით, რომელიც ოდნავ განსხვავდება ნაკარაუდევისაგან.

თანამგზავრის შემოქცევის პერიოდი შეადგენს 102.5 წუთს, ორბიტის დახრილობის კუთხე ეკვატორის სიბრტყის მიმართ 49 გრადუსია, თანამგზავრის მაქსიმალური დაშორება დედამიწის ზედაპირისაგან შეადგენს 1560 კილომეტრს, მინიმალური — 215 კილომეტრს.

თანამგზავრიდან მიღებული რადიოტელემეტრიული ინფორმაცია მოწმობს, რომ ყველა სისტემა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლელი ცენტრ ეკრანზეობს მთელი მიღებული ინფორმაციის დამუშავებას.

თანამგზავრი „კოსმოსი-2", რომელიც გაეგზავნილ იქნა ორბიტაზე მიმდინარე წლის 6 აპრილს, განაგრძობს ფრენას. როგორც უკვე ვიუწყებოდით, „კოსმოსის" ხერიის თანამგზავრების გაშვების ძირითადი ამოცანაა კოსმოსური სივრცისა და ატმოსფეროს ზედა ფენების თანამიმდევრული და ყოველმხრივი გამოკვლევა. ინფორმაცია, რომელიც დედამიწაზე გადმოიცემა მრავალარხიანი რადიო-ტელემეტრიული სისტემის საშუალებით, გვიჩვენებს, რომ თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა სავსებით დამაკმაყოფილებლად მუშაობს.

7 აპრილს გაწმენდლობაში გრძელდებოდა ტრაექტორული გაზომვები.

ამ გაზომვათა დამუშავების შედეგად თავდაპირველი მონაცემები ორბიტის პარამეტრების შესახებ, რომლებიც მიღებული იყო უშუალოდ თანამგზავრის გაშვების შემდეგ, დაზუსტდა.

7 აპრილის მონაცემებით, თანამგზავრის მიმოქცევის პერიოდი შეადგენს 102,25 წუთს, ხოლო მინიმალური და მაქსიმალური მანძილი დედამიწიდან შესაბამისად უდრის 211.6 და 1.545.6 კილომეტრს.

რადიოგადამცემი „მაიაკი-2", რომელიც დადგმულია თანამგზავრზე „კოსმოსი-2", განუწყვეტლივ მუშაობს რხევის 20.005 და 90.0225 მეგაჰერც სიხშირის ორ კოჰერენტულ ტალღაზე. წინ სიგნალებს წარმატებით იღებს საბჭოთა კავშირის სპეციალური მიმღები, სადგურების ქსელი და სხვა მიმღები სადგურები, მთელ მსოფლიოში იმ მიზნით, რომ გამოიკვლიონ იონოსფერო და შეისწავლონ რადიოტალღების გავლის პირობები ტრასით კოსმოსი-დედამიწა.

რადიოგადამცემი, რომელიც ამავე მიზნით იყო დადგმული თანამგზავრზე „კოსმოსი-1", რომელიც გაეგზავნილია ორბიტაზე მიმდინარე წლის 18 მარტს, აგრეთვე განაგრძობს მუშაობას.

ამ სიგნალების ხასიათი, რომლებსაც გამოასხივებენ ეს რადიოგადამცემები [illegible] თანამგზავრზე „კოსმოსი-1" სიგნალის გაგზავნის ხანგრძლივობა შეადგენს დაახლოებით 4 წამს ორ პაუზით — 0.5 წამს, ხოლო თანამგზავრზე „კოსმოსი-2" სიგნალების გაგზავნისა და პაუზების ხანგრძლივობა შესაბამისად უდრის 2 და 0.5 წამს.

[illegible] ინფორმაციის-გამოსათვლელი ცენტრი კვლავ იღებს მონაცემებს, რომ ყველ [illegible] ადგენენენ ოთხკუთხა თანამგზავრების „კოსმოსი-1" და „კოსმოსი-2" ფრენას [illegible] სიგნალებს, რომლებსაც გამოასხივებენ თანამგზავრების გადაცემები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი—მოქმედებაში

ახალი ენერგიით

პარტიული ცხოვრება

ახალ, საპასუხო უბანზე

ეს დღეები, დიდი ოცწლეულის პირველი გაზაფხულის დღეები, სავსეა ახალი ამოცანებით, ახალი ხალისით, საბჭოთა ადამიანების ახალი შრომითი თავდადებით.

სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნა, რაც კომუნისტური პარტიის ინიციატივით ახლა ისელს ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, წარმოადგენს დიდ სახელმწიფოებრივ ღონისძიებას, რომელმაც უდავოდ ხელი უნდა შეუწყოს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებასა და აყვავებას, ჩვენს სამშობლოში სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნას.

„მართვის იმ ორგანოების განმასხვავებელი თვისება, რომლებსაც ახლა ვქმნით, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — სწორედ ის არის, რომ ისინი მოწოდებული არიან ხელი მოკიდონ არა სოფლის მეურნეობას საერთოდ, არამედ წარმოების ორგანიზაციას თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში“.

სწორედ ამ მიზნით, ისე როგორც ყველგან, გორის, ხაშურის, ქარელისა და კასპის რაიონებშიც შეიქმნა სოფლის მეურნეობის მართვის ახალი ორგანო—ეკონომიკის, ყოველდღიურად ვიყოთ საუშაოთა მიმდინარეობის კურსში, ადგილებზე პრაქტიკულად ვეხმარებოდეთ სოფლის კომუნისტებს სიძნელეთა დაძლევაში.

ამჟამად სამმართველოში შემავალ ოთხივე რაიონის მეურნეობებში გაჩაღებულია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. 4.228 ჰექტარ ფართობზე უკვე დათესილია შაქრის ჭარხალი, წარმატებით მიმდინარეობს საგაზაფხულო სამუშაოები ხეხილის ბაღებსა და ვენახებში. მინდვრად კარგა ხანია, რაც დაიწყო სიმინდის თესვა.

ეს გაზაფხული ჩვენი მუშაობის პირველი, ამავე დროს სერიოზული გამოცდა იქნება.

რა თქმა უნდა, ითელი როდია უნარიანად გავშალოთ ცოცხალი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სამმართველოში შემავალ 81 კოლმეურნეობასა და 15 საბჭოთა მეურნეობაში. მუშაობა რთული გვექნება, მაგრამ საპატიო და სახალისო. პარტორგისა და ინსტრუქტორთა ჯგუფის მოღვაწეობის მაღალ დონეს კი განაპირობებს ის, რომ ამ დიდ საქმეში მუდამ ვიგლეთ პარტიის რაიონულ კომიტეტებთან მხარდამხარ, მჭიდრო კავშირით.

ინსტრუქტორთა ჯგუფი დაკომპლექტებულია სოფლის მეურნეობის სპეციალისტებით, პრაქტიკული ცოდნის მქონე ადამიანებით, რომელთაც ამავე დროს საკმაო გამოცდილება დააგროვეს პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზატორული მუშაობის დარგში. მაგალითად, ჯგუფის ინსტრუქტორი ო. გორჯილაძე საბჭოთა მეურნეობაში პარტიბიუროს მდივნად მუშაობდა, ხოლო ო. ლაბაძე — პარტიის რაიკომში განყოფილების გამგედ. ამხანაგები კალანდარიშვილი და ლომთაძე სოფლის მეურნეობის სპეციალისტები არიან, ისინი ამავე დროს პარტიულ საქმიანობაზე იმყოფებოდნენ. პირველი ჭარელის, ხოლო მეორე — ხაშურის რაიონში.

შევადგინეთ ინსტრუქტორთა ჯგუფის სამუშაო გეგმა, რომლის განხორციელებას უკვე პრაქტიკულად შევუდექით.

რა ღონისძიებებს ვატარებთ ამჟამად?

პირველ რიგში კურსი ავიღეთ დახმარება გავუწიოთ ჩამორჩენილ მეურნეობებს, მათს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს, იქ მომუშავე კომუნისტებს.

კასპის რაიონის სამთავისის კოლმეურნეობაში გავეცანით შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხს. აღმოჩნდა, რომ აქ მატერიალურ დაინტერესებას ნაკლები ყურადღება ექცეოდა, როგორც კოლმეურნეობის გამგეობის, ისე პირველადი პარტიული ორგანიზაციის მხრივ. ამიტომ კოლმეურნეობის ხელმძღვანელებს რჩევა მივეცით, რომ თვითეულ კოლმეურნეს გეგმის ზევით მიღებული მოსავლისათვის დამატებით აუნაზღაურდეს შრომა, იმის მიხედვით, როგორც ამას კოლმეურნეობის საერთო კრება გადაწყვეტს.

ამ დღეებში გავეცანით აგრეთვე გორის რაიონის ხელთუბნის, ფლავის კოლმეურნეობებში, კარალეთის საბჭოთა მეურნეობაში, კასპის რაიონის ოკამისა და ალაიანის საბჭოთა მეურნეობებში და ქვემოჭალის კოლმეურნეობაში საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობას.

ჩვენი ყურადღების ცენტრში განსაკუთრებით დგას სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის საკითხი. გასული წლის მუშაობის პრაქტიკამ დაგვანახა, რომ ბევრ მეურნეობაში სოციალისტური შეჯიბრება ფორმალურ ხასიათს ატარებდა, რომ წლის დასაწყისში აღებული ვალდებულებების შესრულების შემოწმებისათვის პარტიული ორგანიზაციები თავს აღარ იწუხებდნენ. წელს ასეთი ფაქტების მოთმენა აღარ შეიძლება.

დიდია ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. საგაზაფხულოდ მარტო სიმინდი 22 ათას ჰექტარ ფართობზე უნდა დათესოს. წელს სახელმწიფოს უნდა მიეყიდოთ 20.410 ტონა მარცვლეული, 150 ათასი ტონა შაქრის ჭარხალი, 32 ათასი ტონა ხილი, 10 ათასი ტონა ყურძენი, 95 ათასი ტონა რძე, 4800 ტონამდე ხორცი და სხვა პროდუქტები.

ამ საბრძოლო ამოცანის შესასრულებლად საჭიროა საწარმოო სამმართველოს ყველა მუშაკის, პარტორგის, კომორგის, ინსტრუქტორთა ჯგუფების უნარიანი და კარგად მოფიქრებული მუშაობა. საქმეს წყვეტს არა სასხდომო ფუსფუსი, როგორც ამის შესახებ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გაგვაფრთხილა, არამედ შემოქმედებითი ორგანიზატორული მუშაობა.

„...ინსპექტორ-ორგანიზატორები, პარტორგები, ინსტრუქტორები, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — მოვალენი არიან მუშაობდნენ უშუალოდ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ადგილზე წყვეტდნენ ყველაზე მთავარ ამოცანას, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სწრაფად ზრდის ამოცანას“.

საწარმოო სამმართველოს პრაქტიკული მოღვაწეობის პირველი დღეები უკვე დაიწყო. მთავარი მუშაობა კი წინ არის. ახლა საქმის თავი და თავი ის არის, რომ ღრმად განვუმარტოთ ყველა მშრომელს პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლის დიდი სახალხო და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, შინაარსიანად წარვმართოთ საგაგტაციო და პროპაგანდისტული საუბრები, ლექციები, მოხსენებები, გავშალოთ ცოცხალი ორგანიზატორული მუშაობა.

რ. ბზიშვილი,

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტორგი გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოში.

70 ათასი მანეთი — ვაზის სადედიდან

გურჯაანი. (საკ. კორ.). მწარე ვაზი — ვენახების დედა. თუ არა მწარე ვაზის სადედე, ახალი ვენახები ვერ გაშენდება. ეს იციან ვაზისუბნის კოლმეურნეობის წევრებმა, და მწარე ვაზის პლანტაციას, ცხრამეტ ჰექტარზე რომ აქვთ გაშენებული, მზრუნველობას არ აკლებენ.

შედეგი? სასიხარულოა, მისაბაძი. ჰექტარზე საშუალოდ 30 ათასი ცალი 110 სანტიმეტრიანი ლერწი. ეს გეგმით იყო გათვალისწინებული, ფაქტიურად ორმოცი ათასს გადაამეტეს.

ჩუმლაყის, ჭადარის, არაშენდის, კაკრეთის, ჯიმითის და სხვა სოფლების კოლმეურნეობებს. ვაზისუბნელებმა ამ დღეებში დიდძალი მწარე ვაზის ლერწი მიჰყიდეს. ვაზის სადედე კოლმეურნეობას 70 ათასი მანეთი შემოსავალი მისცა.

მთავარი აგრონომი — მინდიაშვილი

სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს უფროსმა ს. დარსაველიძემ მეხილეობის მთავარ აგრონომს დ. მინდიაშვილს უთხრა:

— ვიწყებთ მუშაობას. ახლა მარტო კონსულტაცია, მითითება და ახსნა-განმარტება არ კმარა. საჭიროა მუშაობის ორგანიზაცია. დღეს კეხვის კოლმეურნეობის ბაღ-ვენახებში იქნებით. გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ ვაშლის დიდი მოსავალი მივიღოთ.

ამ დღეებში ვაშლის ყვავილობა დაიწყება. მერე და როგორი ვაშლი იცის აქ? კეხვი ხომ ვაშლის ცნობილი ჯიშის „კეხურას“ სამშობლოა. ეს ის კეხურაა, რომელიც ივნისში და ივლისშიც არ კარგავს თავის ფერს, გემოს, კვებით თვისებებს, ეს ის ვაშლია, რომელიც ზაფხულის ცხელ დღეებში ამშვენებს გამოფენებს, ვიტრინებს. მის გაშენებას და მომრავლებას მოძმე რესპუბლიკების კოლმეურნეობებიც შეუდგნენ.

აგრონომმა მინდიაშვილმა ჯერ კოლმეურნეობის კანტორაში შეიარა, საქმის ვითარება შეიტყო, შემდეგ კი თავისი საყვარელი საქმის შესასრულებლად გასწია ბაღებისაკენ.

ვეებერთელა ვერხვის ძირას კეხველი კოლმეურნეები ვაშლის შესაწამლ ხსნარს ამზადებდნენ. აქ მოეტანათ შხამიანი კირი, დდტ-ს პასტა. ხსნარის შემზადება კეხველებს ამ საქმის კარგ მცოდნე ვლადიმერ გუჩმაზოვისათვის დაუვალებიათ.

პირველი წელი როდია, ვლადიმერი ამ დავალებას რომ ასრულებს. ახლაც გრამმით ზომავს პრეპარატებს, რათა ზუსტად მიიღოს წინასწარ ნავარაუდევი კომბინირებული ხსნარი.

მინდიაშვილმა მოსინჯა შეზავებული ხსნარი და მეხილეობის ბრიგადირს ლ. გაგლოშვილს მიმართა: რამდენიმე დღე დარჩა ყვავილობამდე. უნდა მოვასწროთ როგორც კოლმეურნეობის ბაღების, ისე საკარმიდამო ნაკვეთების შეწამვლა. ბაღის მავნებლები. — ცხვირგრძელა, ნაყოფისჭამია შეიძლება საკარმიდამო ნაკვეთებიდან კოლმეურნეობის ბაღებს მოედოს და მთლიანად სოფელი დააზარალოს.

დტ-24 მარკის ტრაქტორი რიგებს მისდევდა. ორი კოლმეურნე რეზინის მილებით ხეებს გარს უვლიდა, კომბინირებულ სითხეს ასხურებდა. კოლმეურნეობის აგროტექნიკოსი აკაკი კახნიაშვილი ფეხდაფეხ მისდევდა ტრაქტორს და მითითებებს აძლევდა შეწამვლაზე მომუშავე კოლმეურნეებს გივი მაისურაძეს და გენო ელბაქიძეს. ცისფრად გამოიყურებოდა ბლის გრძელი რიგები.

— კარგია! — თქვა აგრონომმა მინდიაშვილმა და კოლმეურნეებს მიუახლოვდა.

— ბალიც უნდა შეიწამლოს არა მარტო იმიტომ, რომ მავნებლებისაგან დავიცვათ, არამედ იმიტომაც, რომ მისგან ავადმყოფობა ხეხილის ბაღს არ მოედოს.

მინდიაშვილმა გულმოდგინედ შეათვალიერა ხეები, ტოტები ჩამოსწია, გასინჯა და შემწამლავებს მიუთითა, რომ საწამლი სამარჯვი მაღლა აეწიათ, რათა მაღლა წასული ტოტები უწამლოდ არ დარჩენილიყო. დიდხანს დაჰყო აგრონომმა ბაღში, თვალყურს ადევნებდა ტრაქტორს, რომელსაც ასე ოსტატურად მართავდა ტრაქტორისტი შოთა ყოჩიშვილი. შესვენების დროს აგრონომი კეხველ კოლმეურნეებს ესაუბრა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში ახალი გარდაქმნების მნიშვნელობის შესახებ.

კეხველ მეხილეებს არაერთხელ მიუღიათ ხილის უხვი მოსავალი — ჰექტარზე 170-180 ცენტნერი ვაშლი. წელს 200 ცენტნერის მიღებას ითვალისწინებენ. აგრონომმა აღუთქვა, რომ ხშირად იქნება მათს ბაღებში და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ კოლმეურნეობამ ნაკისრი ვალდებულება გაანაღდოს.

გვიან საღამომდე თავს დასტრიალებდა კეხველ კოლმეურნეებს აგრონომი მინდიაშვილი. ასწავლიდა მათ, პირადად უჩვენებდა საქმეს, აწესრიგებდა შრომას. იგი სპეციალობით მეხილეა, მის მოვალეობას მეხილეობა შეადგენს, მაგრამ უნახავი არ დარჩენია კვალსათბურები, ვენახი, მინდორი, ყველგან საჭირო მითითებებს აძლევდა და ეხმარებოდა კოლმეურნეებს.

დღე დამთავრდა. ბრიგადირები კოლმეურნეობის კანტორაში შეიკრიბნენ. თავმჯდომარემ თამარ ზარდიაშვილმა ბრიგადირებს მორიგი დავალება მისცა და თან განაცხადა: თუ ასე კონკრეტულად დაგვეხმარებიან სპეციალისტები ოლქიდან, საქმე ბევრად უკეთ წავა. ვიმედოვნებთ, რომ ასე იქნება.

ი. თედიაშვილი,

ცხინვალის რაიონი, სოფელი კეხვი.

* * *

სურათზე: სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს მთავარი აგრონომი მეხილეობის დარგში დ. მინდიაშვილი (მარცხნივ) ესაუბრება ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის აგრო-ტექნიკოსს ა. კახნიაშვილს ხილის წამლობის საკითხებზე.

ფოტო მ. ალბოროვისა.

თავდადებულად შრომობენ თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვების“ ახალგაზრდები. **სურათზე:** მოწინავე მუშების ჯგუფი (მარჯვნიდან მარცხნივ) გ. გეჯაძე, ა. გაგნიძე, ლ. თორელაშვილი, მ. სულაძე, უ. არეშიძე, პ. ბაბენკო, თ. გიგაური, ზ. ღამბაშიძე, ჯ. გორგაძე და ს. მურადიანი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სტუდენტები სოფლად

ათასობით ტონა მინერალური სასუქი შეაქვთ ყოველწლიურად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხდერებსა და პლანტაციებში. მაგრამ, ყოველთვის როდი იყენებენ სასუქს რაციონალურად, რადგან არ ითვალისწინებენ იმაა, რომ სხვადასხვა ნიადაგი მოითხოვს სხვადასხვა სასუქს ან, ვთქვათ, სხვადასხვა რაოდენობას. ხშირად, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს პირობებში, მეზობლად არის დამლაშებული და მჟავე, წყალა და კირიანი ნიადაგი, წითელ და შავმიწა ნიადაგი. ნიადაგი სრულიად სხვადასხვაა და, ბუნებრივია, ყოველი ნიადაგი მოითხოვს იმ მინერალურ მარილებს, რომლებიც არ ყოფნის, ან კიდევ, რომლებიც ხელს შეუწყობენ „ბანეიტრალოს“ ის მარილები, რომლებიც ჭარბად აქვს.

დაეხმარონ სოფლის მშრომელებს, რომ უმეზნოდ არ დაკარგონ არც ერთი კილოგრამი მინერალური სასუქი, რაციონალურად და უნარიანად გამოიყენონ ძვირფასი ქიმიური პროდუქტები სოფლის მეურნეობაში — ასეთი ამოცანა დაისახეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტებმა. ამ მიზნით ისინი უკვე გაემგზავრნენ მახარაძის, ღანჩხუთისა და თერჯოლის რაიონებში, სადაც ადგილობრივი ნიადაგის პირობების შეფასების შემდეგ შეადგენენ ნიადაგის კარტოგრამებს. ეს კარტოგრამები უკარნახებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სპეციალისტებს, რა დოზით და როდის შეიტანონ გარკვეულ ნაკვეთში მინერალური და ორგანული სასუქი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა პასუხად სოფლის მეურნეობის მომავალმა სპეციალისტებმა დაისახეს ვრცელი პროგრამა, რათა დახმარება გაუწიონ სოფლის მშრომელებს. სტუდენტებმა გადაწყვიტეს საშეფო მეურნეობებში — მცხეთის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დანერგონ ბრიგადებისა და რგოლების მუშაობის ორგანიზაციის მოწინავე გამოცდილება, გაავრცელონ ნოვატორთა და მეცნიერების მიღწევები. 12 კოლმეურნეობაში შეიქმნა სტუდენტთა ბრიგადები, რომლებიც კომპლექსური მექანიზაციის გზით დაამუშავებენ სიმინდის ნათესებს. ნატახტარის საბჭოთა მეურნეობაში 100 ჰექტარზე სტუდენტები ნერგავენ ბოსტნეულის მოყვანის კომპლექსურ მექანიზაციას.

დიდ დახმარებას უწევენ სტუდენტები სოფლის მექანიზატორებს. ისინი კოლმეურნეობებს ეხმარებიან, კერძოდ, ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის შეკეთებაში. მექანიზაციის ფაკულტეტის საუკეთესო სტუდენტები სათავეში ჩაუდგნენ მექანიზატორთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს, სარემონტო სახელოსნოებს. ინსტიტუტის ლაბორატორიებში ახლა ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიან სისტემას.

(საქდესი).



„პრავდა“ მოვიდა მარგანეცის ქალაქში.

ПРАВДА და საქართველო

ჭიათურა „პრავდის“ ფურცლებზე

რუსეთის პირველი რევოლუციის ბობოქარ და ქარიშხლიან დღეებს სუსხიანი რექემი მოჰყვა. მაგრამ რეაქციის ზეიმი ხანმოკლე გამოდგა. პროლეტარიატი ძველ ფეხზე დადგა, ახალი იერიშე დაიწყო. რევოლუციის ტალღა ააზვირთა ლენის მუშების დახვრეტამ.

რუს მოძმეებს მხურვალედ გამოეხმაურნენ ჭიათურელი მაღაროელები და 1912 წლის ივნისში გაიფიცნენ. მაგრამ თავისი გაქანებით, მასშტაბითა და ორგანიზებულობით უფრო მნიშვნელოვანი იყო ჭიათურელ მუშათა გაფიცვა 1913 წლის ზაფხულში, რაც თვეხეევარს გაგრძელდა და მუშათა გამარჯვებით დამთავრდა.

მაღაროელთა გაფიცვას მხარი დაუჭირეს მარგანეცის ძტვირთავებმა ფოთსა და შორაპანში. შეიქმნა გაფიცვის ბიურო, რომელიც პროკლამაციით მიმართავდა მუშებს.

„...ძალი რეაქცია კაპიტალისტებისათვის ზეიმი იყო, მაგრამ ჩვენთვის, მუშებისათვის, ის უბედურება იყო, რომელმაც შიმშილი, ცრემლები, ციხე და სახრჩობელები მოგვიტანა...

მაგრამ დედამიწაზე არ არის არაფერი მუდმივი. რეაქციას არ შეუძლია დაიმონოს პროლეტარიატი. მუშა უკვე დადგა ფეხზე. დაიწყო დიდი ბრძოლა შრომის გასათავისუფლებლად და თქვენ უკვე გესმით ბრძოლის ხმა ჩრდილოეთიდან... ისინი აღდგნენ და გადავიდნენ შეტევაზე მტრის წინააღმდეგ მწყობრი რიგებით. მათი შესანიშნავი ბრძოლები უნდა ვახდეს ჩვენთვის მაგალითი...

გავერთიანდეთ და გავუწოდოთ ერთმანეთს ძმური ხელი. არ უნდა დავიიწყოთ დიდი მასწავლებლის სიტყვები: „მუშათა განთავისუფლება თვით მუშათა საქმეაო“. მაშ გავიფიცოთ, ამხანაგებო! შეეკრათ მჭიდრო რიგები და ჩვენს მჩაგვრელებს შევძახოთ: „მყელფელებო, ქმარა, ჩვენც გვწყურია ადამიანური ცხოვრება“...

იმხანად თავისი დაბადების მეორე წელს ითვლიდა ლენინური გაზეთი „პრავდა“. იგი მხურვალედ გამოეხმაურა ჭიათურელ მაღაროელთა გაფიცვას, ფართოდ ამუქებდა მის მიმდინარეობას, ახასიათებდა როგორც მიდგარს, შეუპოვარს. გაზეთი „პრავდა“ მთელ ქვეყანას ამცნობდა ჭიათურელ მაღაროელთა გმირულ გაფიცვას.

ლენინური „პრავდა“ 1913 წლის 3 (16) აგვისტოს წერდა:

„ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის მუშები მალე დაიწყებენ პროფესიული კავშირების შექმნას, რომელმაც უნდა გააერთიანოს შრომის ყველა დარგის მუშები ჭიათურის სამადნოებში. ეკონომიური ორგანიზაციის აუცილებლობა განსაკუთრებული ძალით იგრძნობა ახლანდელ მომენტში, როცა ჯერ კიდევ ადგილი აქვს გაფიცვებს“. მეორე დღეს „პრავდა“ კვლავ დაუბრუნდა ჭიათურას და აუწყებდა მკითხველებს: „ამ დღეებში მოხდა ჭიათურის ვაგონებზე მომუშავე ყველა მუშის გაერთიანება ერთ არტელში. აქამდე ვაგონის მუშები დაუსაქმელ მასას წარმოადგენდნენ. არსებობდა ორი არტელი. რომელთაგან თვითეული ცალკე იღებდა სამუშაოს ფირმისაგან... ამ არტელებს შორის არსებობდა გათიშულობა და გარკვეული სახის კონკურენციაც... ახლა კი ჭიათურის მუშები წარმოადგენენ ერთ მჭიდროდ შეკავშირებულ მასას“.

ერთი კვირის შემდეგ გაზეთი „პრავდა“ ჭიათურელთა გაფიცვის თაობაზე მკითხველებს უამბობდა:

„მუშები არც ფიქრობენ კომპრომისზე. ისინი მტკიცედ დგანან თავიანთ მოთხოვნებზე. გაფიცვა, როგორც ჩანს, კიდევ ერთხანს გაგრძელდება. განწყობილება მეტისმეტად კარგია“.

ასე კვალდაკვალ მისდევდა ბოლშევიკური „პრავდა“ ჭიათურის ამბებს, ქებადიდებით მოსავდა ჭიათურელ მაღაროელთა მამაცურ ბრძოლას და თავგანწირულ შემართებას. „პრავდა“ არც იმპერიალისტური ომის, 1917 წლის რევოლუციის, სამოქალაქო ომის თუ რეკონსტრუქციის წლებში ივიწყებდა ჭიათურელ მაღაროელებს, მარგანეცის მრეწველობას.

დაიწყო სოციალისტური მშენებლობის მძლავრი აღმავლობა. საბჭოთა საქართველომ თავისი დაბადების 15 წელი იდღესასწაულა. საქართველოს მშრომელთა დელეგაცია 1936 წლის 19 მარტს კრემლში მიიღეს. დელეგაციაში შედიოდა ჭიათურელი სახელგანთქმული მაღაროელი ეასილ სამხარაძე, რომელიც მაშინ ლენინის ორდენით დაჯილდოეს.

21 მარტს „პრავდა“ მოწონავე სტატიაში წერდა:

„უახლესი ტექნიკით შეიარაღებული ბოლშევიკური ხელი შეიპყრა წინათ მიუვალ მთებსა და ხეობებში — ეძებს და პოულობს იქ რკინას და ნავთობს, მარგანეცს და ქვანახშირს“... და შემდეგ განაგრძობდა:

„ჭიათურის მაღაროების სტახანოველი ახალგაზრდა ვასილ სამხარაძე თავისი მუშაობით, მიღების დროს წარმოთქმული სიტყვით, მთელი თავისი გარეგნობით თითქოს განასახიერებს სოციალიზმის დიად მონაპოვარს საქართველოში“.

ჭიათურელ მაღაროელთა და მშენებელთა შრომითი თავდადება თუ სიძნელეები შემდეგაც არაერთგზის იყო ასახული „პრავდის“ ფურცლებზე. თუ გნებავთ, სულ ახალი ამბავი გავიხსენოთ.

მიმდინარე წლის პირველ თებერვალს „პრავდამ“ პირველ გვერდზე დაბეჭდა კორესპონდენცია „მაღაროელთა მეგობრობა“. იქ ეკითხულობთ:

„მეგობრობა! ამ სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჭიათურელებისათვის. აგერ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია ისინი მეგობრობენ და ეჯიბრებიან მარგანეცის მოპოვების უკრაინელ ოსტატებს — ნიკოპოლელებს. ეს ეხმარება მათ მოპოვონ შესანიშნავი წარმატებები შრომაში.

მეგობრობის მაგარი ძაფებით დაკავშირებული არიან არა მარტო მაღაროთა კოლექტივები. არამედ ბრიგადები, ცალკეული მაღაროელები. ურთიერთს ეჯიბრებიან უკრაინელი მაღაროელი ს. სკატოვი და ქართველი მ. ამყოლაძე, ი. მელნიკოვი და ა. ლუღუნაშვილი და მრავალი სხვა.

ყოველი სიახლე, წამოწყება, ინიციატივა შეჯიბრებაში ჩაბმულთა საერთო საკუთრებად იქცევა. ჭიათურელებს კარგად ახსოვთ, რომ უკრაინელი მეგობრები მათ დაეხმარნენ ღარიბი მადნების გამამდიდრებელი დანადგარების დამონტაჟებაში. უკრაინელებმა, ბევრი გაკვეთეს, რომ ჭიათურაში დანერგილიყო მადნის მოპოვება ღია წესით. ამ პროგრესულმა მეთოდმა სამჯერ შეამცირა ტონა მარგანეცის თვითღირებულება.

ვალში არც ქართველი მაღაროელები არიან. მბურღავმა ნოვატორმა კარპეზ ნადირაძემ შეიმუშავა ღრმა ბურღვის მეთოდი, რომელმაც ორჯერ გაადიდა სანგრევიდან მადნის გამოღება. ავტორი პირადად გამგზავრა ნიკოპოლელებთან და დაეხმარა მათ პროგრესული მეთოდის ათვისებაში“...

დიახ, ლენინური „პრავდა“. არ ივიწყებს ჭიათურას თავისი დაბადებიდან დაეჟკაცების დღეებამდე. იგი ეხმარება, ახალი საგმირო საქმეებისათვის შთაგონებს მაღაროელებს. ჭიათურელებიც სიხარულით მოელიან „პრავდის“ ყოველ ნომერს, გატაცებით კითხულობენ მის ყოველ სტრიქონს, რადგან „პრავდაში“, პრავდისტებში ხედავენ სიმართლისა და პატიოსნების უძლეველ ქომაგსა და მეგადგებელს.

პ. ჭიოკაძე.

ყოველი მეორე მუშა რაციონალიზატორია

საამქროში, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, ბევრი ახლის მაძიებელი, მოუსვენარი აზრის ადამიანია. ისინი ცდილობენ გამოავლინონ წარმოების გამოუყენებელი რეზერვები, წინ წასწინონ ტექნიკურ-შემოქმედებითი აზრი, აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, შეამცირონ პროდუქციის თვითღირებულება.

წარმოების რაციონალიზაცია-გამომგონებლობის საკითხებზე ხშირად ვესაუბრებით მუშებს, ვრაზმავთ მათ წარმოების „ვიწრო ადგილების“ სალიკვიდაციოდ, ვუწევთ ტექნიკურ კონსულტაციას. ამან უსათუოდ შეუწყო ხელი რაციონალიზატორთა რიგების ზრდას. ახლა ჩვენს საამქროში ყოველი მეორე მუშა რაციონალიზატორია.

საუცხოო წინადადებების ავტორია საამქროს მექანიკოსი ვ. კიკნაველიძე. მისი ორი წინადადება, რომლებიც მზა პროდუქციის ფორმირების და თერმოსტრაციატის სამსხვრეველზე მიწოდების მექანიზაციას ეხება, დანერგვის პროცესშია.

კარგი რაციონალიზატორები არიან აგრეთვე ჩვენი საამქროს მოწინავე მუშები გ. ჟორჟოლიანი, ზ. კახნიაშვილი, ა. კვანტრიშვილი, კ. გამცემლიძე, პ. სტეფანიუკი, რ. გურული და სხვები. მათ თავიანთი წვლილი შეაქვთ ტექნიკურ პროგრესში.

ინჟ. გ. ხუციშვილი,

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის ელექტროდების საამქროს უფროსი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

როინი სკოლაში აღარ დადის

„კომუნისტის“ 1962 წლის 2 თებერვლის ნომერში გამოქვეყნებული იყო კორესპონდენცია — „როინი სკოლაში აღარ დადის...“

კორესპონდენციის გამო ზუგდიდის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს სახალხო განათლების განყოფილების გამგე ამხ. მ. ნარმანია გვატყობინებს, რომ კორესპონდენციაში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. იგი გვწერს:

„გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული წერილის — „როინი სკოლაში აღარ დადის“ — გამო შემოწმებულ იქნა ოდიშის რვაწლიან სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დაყენების მდგომარეობა და ამ დარგში გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებანი. შემოწმების შედეგები განხილულ იქნა სახალხო განათლების საბჭოს სხდომაზე. სახალხო განათლების საბჭოს დადგენილების საფუძველზე ზუგდიდის განათლების განყოფილებამ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისადმი სუსტი ხელმძღვანელობისათვის სკოლის დირექტორს ამხ. ბ. სართანიას და სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. ა. ბულიას გამოუცხადა საყვედური. ზოგიერთ მასწავლებელს სწავლების დაბალი დონისათვის საყვედური გამოეცხადა.

დასასრულ იქნა ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად“.

კომუნისტი
№ 2 83.
7 აპრილი, 1962.

თუ ერთმა შეძლო—ყველა შეძლებს!

მოვალეობის მაღალი შეგნებით

ჩვენს ბრიგადაში, რომელიც კოპების აწყობაზე მუშაობს, 12 ქალაშვილია გაერთიანებული. თუ კარგად არ ვიმუშავეთ და კოპების აწყობის დავალება ჩავშალეთ, ამით მეყალიბეებსაც მოვაცდენთ და თუჯის მსხმელებსაც. ჩვენ მიერ დამზადებული კოპები უშუალოდ ეგზავნება ამირან კაპანაძის მეყალიბეთა კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელმაც არა მარტო ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, მთელ ქალაქში პირველმა მოიპოვა ეს საპატიო სახელწოდება.

რა დასამალავია, ერთხანს საქმეს თავს ვერ ვართმევდით, მეყალიბე ბიჭები ხშირად გვისაყვედურებდნენ ხოლმე. ქალაშვილებმა მოვითათბირეთ და მტკიცედ გადავწყვიტეთ მთელი მონდომებით, მოვალეობის მაღალი შეგნებით მოვკიდებოდით მონდობილ საქმეს. მონდომებამ, თვითეულის სიბეჯითემ და ბრიგადაში მტკიცე დისციპლინამ კეთილმყოფელი შედეგები გამოიღო ჩამორჩენა მალე დავძლიეთ და კომუნისტური შრომის ბრიგადის საპატიო სახელისათვის ბრძოლაში ჩავებით, ამასთან კაპანაძის ბრიგადას შევეჯიბრეთ. გავიდა რამდენიმე თვე, და მიმდინარე წლის იანვარში ჩვენ კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელწოდება მოვიპოვეთ.

ცხადია, ეს წარმატება თავისთავად არ მოსულა. ბრიგადაში კოპებით აწყობის რამდენიმე ოპერაცია სრულდება. თვითეულს მოეთხოვება ცალკე ოპერაცია უწუნოდ და ზუსტად შეასრულოს. ამიტომაც ყოველთვის მეგობრულად ვეხმარებით ერთმანეთს, შემჩნეულ დეფექტებს იქვე, დაუყოვნებლივ ვასწორებთ, საერთო მსჯელობის საგნად ვხდით და ასე კოლექტიურად ვაკეთებთ საბოლოოდ საქმეს. ახლა მეყალიბე ბიჭები არც კოპებს გვიწუნებენ და არც მათ სიმკაცრეზე წუწუნებენ. ეს კი ბრა, ცვლაში გეგმით გათვალისწინებული 120 ცალის ნაცვლად 140-150 ცალ კოპს ვაკეთებთ.

ბრიგადის წევრთა უმეტესობა კომუნისტები და კომკავშირელები ვართ. მაღალნაყოფიერ შრომას ჩინებულად ეუხამებთ საზოგადოებრივ საქმიანობას, სწავლას. საქალაქო საბჭოს დეპუტატი ნათელა კვინიკაძე ავტომექანიკური ტექნიკუმის საღამოს განყოფილების მესამე კურსზე სწავლობს, ამავე ტექნიკუმის სტუდენტია რომა ახელედიანი, ხოლო მარგალიტა სამარგულიანი დაუსწრებლად იღებს უმაღლეს განათლებას.

თვითეულ ჩვენგანს თავის მოვალეობად მიაჩნია დაეხმაროს, ასწავლოს და შეაძლებინოს მეგობარს. სულ ოთხოოდე თვეა, რაც ჩვენს ბრიგადაში სამუშაოდ მოვიდა სამუალო სკოლის კურსდამთავრებული კომკავშირელი ნაზი ლაღაძე. პირველ ხანებში ახალბედა მუშას უჭირდა, მაგრამ ამხანაგების დახმარებით მალე დაეუფლა საქმეს და მოწინავე ამწყობებს ანგელინა თავდუმაძ

...ოთ კლოვნება

მეორე საერთაშორისო...

მეშიოლინეთა კონკურსის პირველი ტურის შედეგები

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 7 აპრილი. (ცნობილი გახდა ამ ლეიოლინეთა საერ. ...ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 7 ᲐᲠᲐᲠᲘᲚᲘ. (ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲛ ᲚᲔᲘᲝᲚᲘᲜᲔᲗᲐ ᲡᲐᲔᲠ. ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲠᲩᲘᲜᲝᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲠᲩᲘᲚᲘ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. 41 ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲠᲩᲔᲣᲚᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲠᲘᲗᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲛᲐᲒᲠᲔᲑᲡ 23 ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ — ᲗᲘᲗᲝᲗᲘᲡᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗᲘᲐ.

ᲛᲔᲨᲘᲝᲚᲘᲜᲔᲗᲐ ᲐᲚᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ, ᲐᲪᲜᲝᲑᲐᲗᲐ ᲡᲐᲯᲣᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲗ ᲒᲐᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲯᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ ᲓᲐᲛᲐᲡᲘᲗ ᲐᲠᲘᲡᲒᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲐᲓᲒᲘᲜᲘᲗ ᲐᲠᲘᲡᲒᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲡᲘᲗ ᲐᲠᲘᲡᲒᲕᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ. ᲛᲔᲠᲔ ᲓᲔᲢᲐᲚᲘ ᲐᲡᲐᲬᲧᲝᲑ ᲛᲐᲜᲘᲨᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲓᲐᲯᲘᲠᲘᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲐᲛᲑᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲝᲠᲐᲜᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ. ᲛᲔᲠᲔ ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ...

ᲗᲘᲗᲝᲗᲘᲡᲘ ᲙᲘᲠᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲑᲘᲗᲘᲐ ᲒᲐᲜᲐᲒᲠᲫᲝᲑᲓᲐ ᲛᲔᲠᲔ ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲐᲠᲐᲡᲬᲝᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲐ

ამგეგი, ცნობები, ფაქტები

„სიკვდილის ზონა“ უკან იწევს

თუ აღამიანს სიკვდილი ემუქრება

ნანანანა განგაშის სიგნალს აძლევდა და მიაღებინებდა ხელოვნურ ამოსუნთქვას. საოპერაციოსი იმის ზარი: ავადმყოფი შოკის მდგომარეობაშია, საჭიროა სასწრაფო ქირურგიული ჩარევა.

ქირურგმა ეიმეოდა გაიქნა თავი. არა, ამ ბიჭს არაფერი აღარ ეშველება. თავის ქალა გატეხილი აქვს... ტვინი გადმოსწორებლად დაზიანებული. მაჯიანცემა აღარა აქვს.

იქვე გვერდით კი საავადმყოფოს პალატაში კიდევ ერთი ადამიანის სიცოცხლე კრავს. ხანში შესული კაცი ინფარქტით იღუპება. ქირურგმა იცის: ამ ბიჭის გადარჩენა აღარ შეიძლება, მაგრამ მაინ გული რომ ინფარქტიანის მკერდში გადაინერგოს, იგი კიდევ მრავალ წელს იმსახურებს.

სწრაფად სრულდება საჭირო მზადება ოპერაციისათვის. გადის ხანი, და ინფარქტიანის მკერდში ახალგაზრდა საღი გული იწყებს ცემას.

სად მოხდა ეს? როდის?

ოპერაცია არ გაკეთებულა, მაგრამ მეცნიერ. ლაბორატორ. დემიხოვის გიბეღული ექსპერიმენტები საშუალებას გვაძლევს დანამდვილებით კთქვათ: „ მ ოცხების განნორაციელებამდე. ბევრი დრო როდილაა დარჩენილი.

პროგლემა ნომერი პირველი

ასე უწოდებენ მედიკოები გულისსისხლძარღვთა დაავადებებს — კაცობრიობის ამ საშინელ მტერს. ეს დაავადებანი ყოველ წელს მრავალი ასეული ათასი ადამიანის სიცოცხლეს იწირავენ. მას შემდეგ, რაც გაჩნდა „მექანიკური გული“, ოპერაციის დროს გულს გაჩერება, რაც წინათ გარდუვალად იწვევდა სიკვდილს, უკვე აღარ არის საშიში. მაგრამ „მექანიკური გული“ ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი აპარატი. ორგანიზმთან ჩართული, იგი სულ ბევრი ხუთ საათს მუშაობს. მაგრამ თუ გულს მთელ ღღეღამეს, მთელ კვირას დასვენება სჭირდება?

რა იქნება, რომ ხელოვნური გულის ნაცვლად ორგანიზმში ჩავრთოთ ეს არის ახლა მომკვდარი ადამიანის გაცოცხლებული გული, ფილტვები ან თირკმელი?

„დემიხოვის მეთოდი“

ვლადიმერ დემიხოვი ორგანოებს გადანერგავს ლაბორატორიას განაგებს სკლიფოსოვსკის საბჭოლობის ინსტიტუტში. მეცნიერი მედიცინაში საბჭოთა სკოლის იმ წარმომადგენლებს ეკუთვნის, რომლებსაც სჯერათ, რომ შესაძლებელია გაიაოცხლო უბედური შემთხვევისაგან დაღუპული ადამიანის ცალკეული ორგანოები, რომ შესაძლებელია ასეთი ორგანოებს არა მარტო გაცოცხლება, არამედ ნორმალური მუშაობაც.

მაგრამ სანამ ადამიანისათვის ასეთი ოპერაციის გაკეთებაზე გადავიდოდეთ, საჭიროა საიმედო მეთოდიკა.

დაიწყო ცდები.

საექსპერიმენტო საოპერაციოსთან რომ მიდიხარ, უკვე შორიდან ისმის ძაღლების მრავალხმიანი ყეფა. ამ ხმელებს ძნელი და საპატიო მისია უკისრიათ — ემსახურონ მეცნიერებას.

რამდენი ცდა გაკეთდა! პირველი, მეორე, მესამე... ოცდამეექვსე, ოცდაშვიდ... იყო ისეთი დღეები, როცა ოპერაციის შემდეგ ქირურგი სიმტკიცეს კარგავდა, ხელები უცახცახებდა, თავბრუ ეხვეოდა.

განსაკუთრებით საოცარია დემიხოვის ცდები გულის გადანერგვისა და მთლიანად შეცვლისათვის. აბეთი ერთმა ჯერ არ იხსოვს მეფიცინეს ისტორიას. სხვა ქირურგები იმას სჯერდებოდნენ, რომ გულის გადანერგვის აზეკნდნენ ძაღლის კისერზე ან მკ ლის ღრუში; ამასთან გადანერგული გული სისხლის მიმოქცევის სისტემაში მხოლოდ ნაწილობრივ ჩართულიყოდა და სისხლის საერთო მიმოქცევაში არავითარ ფუნქციას არ ასრულებდა.

დემიხოვი არა მარტო გულის ოპერაციებს აკეთებდა და ერთი ძაღლის გული და ფილტვები მეორის ორგანიზმში გადაჰქონდა. იგი მთლიანად ცვლიდა გულსა და ფილტვებს, ქმნიდა ორგულიან ძაღლებს. ასეთი ოპერაციის უკეე მეორე დღეს ძაღლები გარეგმა მოვლენებისადმი ნორმალურ რეაქციას იჩენდნენ, დადიოდნენ, წყალს სვამდნენ. დემიხოვმა მიაგნო იასეთ ხერხებს, რომლებიც საკვებით გამორიცხავენ საოპერაციო მაგიდაზე სიკვდილს ყოველგვარი თენდაც უმძიმესი ოპერაციის დროს. ქირურგმა ექსპერიმენტით შეიმუშავა მეთოდი გულის ინფარქტის თავიდან აცილებისა. სისხლძარღვების ზოგგრაფიული სკლეროზული დაავადების დროს.

ბევრ შემთხვევაში გული ძალიან კარგად შეეხერხებოდა ხოლმე ახალი ორგანიზმის ქსოვილს. ოპერაციის შემდეგომ სხვადასხვა გართულებათა გამო იგი ჯერჯერობით მხოლოდ თვეზე ცოტა მეტ ხანს მუშაობდა. ეს დიდი ვადა არ არის. მაგრამ გაცოცხლებულ გულსა და ფილტვებს, რომელთაც ოპერაციის დროსათვის ავადმყოფის ორგანიზმში ჩართავენ, შეუძლიათ დაიცვან მისი სიცოცხლე არა ორ-სამ საათს, როგორც ხელოვნური გულით შეიძლება, არამედ ორ-სამ კვირას და მეტსაც, ეს იგი ამ წლის განმავლობაში, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ გულის ავადმყოფის მდგომარეობა გაუმჯობესდეს. ქირურგმა გადაწყვიტა. რომ ამა შეიძლება პრაქტიკული მნიშვნელობა იქნეს. ოუ, მაგალითად, საჭირო გახდება გაცოცხლებული გულისა და ფილტვების ჩართვა გარეგან, ფუტლარით, ოპერაციის დროს ან ერთი ორგანოს ერთ ადგილიდან მეორეზე გადატანა.

შეიძლება თუ არა ორგანოების გადანერგვა მასობრივი გასწავლა?

ეს ცდები პირველი ნაბიჯია ადამიანის გულის გადანერგვის გზაზე. ამ ბოლო დროამდე მეცნიერებში გაბატონებული იყო აზრი, რომ ყველა გადანერგული ქსოვილი და ორგანო, „გრეფოდ“ ეწოდებული ჰომოტრანსპლანტატები, გარდუვალად განწირულია დასაღუპავად ბიოლოგიური შეუთავსებლობის გამო. ავრეთვე ამტკიცებდნენ, მათი წარმატებით შეხორცებაა საუბარი შემთხვევები არ არსრულ. მაგრამ ექსპერიმენტული და კლინიკური პრაქტიკის ფაქტები სხვას მოწმობენ. საყოველთაოდ ცნობილია „სისხლის წარმატებით გადასხმის ასეულ ათასობით შემთხვევა (სისხლის ჯგუფის შესაბამისობისას). პროფესორ პავლე ანდროსოვის კლინიკაში ერთ ავადმყოფს. ას ლიტრამდე სისხლი გადასხესხეს — და ამასთან რაიმე პათოლოგიური ცვლილება არ მომხდარა. ავრეთვე გამორკვეულია, რომ გადასხმული სისხლის უჯრედები ახალ ორგანიზმში იმდენსავე ხანს ცოცხლობენ, რამდენსაც საკუთარი.

ცნობილი გვამებიდან აღებული რქოვანას, ხრტილის, ძვლების, სისხლძარღვების წარმატებით შეხორცების ათასობით შემთხვევა.

მრავალი წლის ექსპერიმენტებით დემიხოვმა შეძლო გამორკვია, რომ ოპერირებული ძაღლების დაღუპვა ხდებოდა არა ერთი მიზეზით, როგორც ბევრ ოპერაციებს მიაჩნდათ. ორამდე თვესშემდეგ, მათ შორის პლევრიტით, პერიტონიტით, ფილტვების ანთებით. ერთ შემთხვევაში გადანერგილმა თავმა ოპერაციის შემდეგ 29 დღეს იცოცხლა. ამ ხანის განმავლობაში მის ზედაპირზე მალანი ერთი სანტიმეტრით და მეტით გაიზარდა. გადანერგილი კანი ძალიან კარგად შეეხორცა ძაღლის კანს. მხოლოდ ერთ ადგილას მოძარაობის დროს მეფმავი ტოვების გამო კანი ნაკეთზე. დაჩრდა და შეხორცა არ მოხდა. ეს ადგილი ინფექციის წყარო იყო. რის შედეგადაც შეხორცის ადგილას წარმოიქმნა ძაღლიან ბეკრივი, ნაკრილმევი და აქედან ოპერაციის 26-ე—27-ე დღეს დაიწყო კანქვეშა უჯრედოვანას შეშუპება, რომელიც შემდეგ მთელ გადანერგილ თავზე გადავიდა.

თავიდ დაკვირვებათა მონაცემები რომ გამოიყენა და სხვა მკვლევართა მრავალ ოფიციალ შეადარა, დემიხოვი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სიკვდილის ყველაზე ხშირი მიზეზია გადანერგილ ორგანოში სისხლის მიმოქცევის დარღვევა სხვადასხვა მიზეზებით, რომლებიც უახლოეს ხანში შეიძლება თავიდან ავიცილოთ.

ორგანოების გადანერგვის საკითხის ყოველმხრივ შესწავლა სხვადასხვა ქვეყნის ბევრი მეცნიერის მიერ დაიჭერავს ყაცობრიობისათვის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემის გადაჭრას.

ოპერაციის ეკრანზე

პოლიტექნიკური მუზეუმის უზარმაზარი დარბაზი გაჩეჩილია ხალხით. დემიხოვი აქ მოუთმენლობს დამსწრეთ თავისი მუშაობის შესახებ. იგი აჩვენებს ფერად ფილმს „მეორე გულის გადანერგვა ძაღლის მკერდში“. ფილმი გადაღებულია გერმანიაში, როცა ვლადიმერ პეტროს-ძე იქ იყო გერმანელ მეცნიერთა მიწვევით.

ეკრანზეა ძაღლის ახდილი მკერდი. ცოცხალი გული, ცოცხალი ფილტვები ფეთქავენ და ცახცახებდნენ ქირურგ დემიხოვის ხელში. მან მოამორა ცოცხალი გული ვენებსა და არტერიებს და ხელოვნურზე აჩვენა იგი მაყურებლს. ორგანიზმისაგან მოშორებული გული შეკუმშვას განაგრძობდა, იგი ცოცხლობდა სპეციალურად შემოშავებული მეთოდის მეობით.

— მაშ ასე, ჩვენ ამოვიღეთ გული ერთი ძაღლის მკერდიდან და ახლა მეორე ძაღლის მკერდში გადავიტანთ. ამოღებულ გულს ცოცხალ ძაღლს სისხლძარღვებთან შეეკერეთქმთ, და ძაღლი ორი გულით იცოცხლებს, — განმარტავდა დემიხოვი.

დამსწრეთა თვალწინ ნამდვილი სასწაული მოხდა: მაღალორგანიზებული თბილსისხლიანი ცხოველის გული ოპერაციის გადანერგვის ეფექტი ეკრანზე ეკეთა. ბევრ ადამიანს ეგონა, ეს ეკრანზე ცოცხალ ადამიანზე ოპერაციაა. ბევრი ოპერაციის ეფექტი ეკრანზე ეკეთა. ბევრ ადამიანს ეგონა, ეს ეკრანზე ცოცხალ ადამიანზე ოპერაციაა. ბევრი ოპერაციის ეფექტი ეკრანზე ეკეთა. ბევრ ადამიანს ეგონა, ეს ეკრანზე ცოცხალ ადამიანზე ოპერაციაა. ბევრ